სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N27010401/12

ქ. თბილისი | იანვარი 2021 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი სააგენტოს დირექტორის მოადგილის ლევან გოგოძის სახით და მეორე მხრივ შპს „ტვ სარფი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზამირა ჩიგოგიძის სახით (ორივე ერთად წოდებული „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, ციფრული საკაბელო ტელევიზიის მომსახურების, აგრეთვე, ახალი აბონენტის ქსელში ჩართვის მომსახურების - ციფრული საკაბელო ტელევიზიის მონტაჟი/ინსტალირების (შემდგომში - „მომსახურება“ ან „შესყიდვის ობიექტი“; CPV 92200000; 92232000) გამარტივებული შესყიდვა.

2.2. მომსახურების ღირებულება, მომსახურების გაწევის ვადები და მისამართები მოცემულია N1 დანართში, ხოლო არხების ჩამონათვალი მოცემულია დანართში N2, რომლებიც დაერთვიან წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2 204.40 (ორი ათას ორასოთხი ლარი და 40 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი/მოსაკრებელი/სახდელი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება შემდეგი პირობების შესაბამისად:

4.1.1. 2021 წლის 1 თებერვლიდან, 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან:

4.1.1.1. ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144 - წინამდებარე მუხლის 4.1.1. მუხლით განსაზღვრულ ვადაში;

4.1.1.2. ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის N51 - წინამდებარე მუხლის 4.1.1. მუხლით განსაზღვრულ ვადაში;

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში „შემსყიდველი“ ისარგებლებს მხარეთა შორის 2015 წლის 11 მაისის N35010401/94 ხელშეკრულების ფარგლებში „მიმწოდებლის“ მხრიდან უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური მოწყობილობებით:

4.3. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, „შემსყიდველს“, “მიმწოდებლის“ მხრიდან უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაეცემულა 11 (თერთმეტი) ტექნიკური მოწყობილობა.

4.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული „მოწყობილობები“ წარმოადგენს „მიმწოდებლის“ საკუთრებას და ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული აპარატურა უბრუნდება „მიმწოდებელს“.

4.5. დამატებითი „მოწყობილობების“ მონტაჟის შემთხვევაში, „შემსყიდველთან“ ფორმდება შესაბამისი სამუშაოს შესრულების „მიღება–ჩაბარების“ აქტი. დამატებითი „მოწყობილობების“ მონტაჟის შემთხვევაში, „მიღება–ჩაბარება“ ადასტურებს „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველისათვის“ „მოწყობილობების“ გამართულ მდგომარეობაში გადაცემის, მისი წარმატებით ინსტალაციის და „შემსყიდველისათვის“ სათანადო ინსტრუქტაჟის ჩატარების ფაქტს.

4.6. დემონტაჟის დროს დგება „მიღება–ჩაბარების“ აქტი, რომლის შედგენისას „მიმწოდებლის“ თანამშრომელი ამოწმებს „მოწყობილობების“ ტექნიკურ მდგომარეობას და თუ გამოვლინდება, რომ „მოწყობილობა“ მთლიანად დაზიანებულია, დაკარგულია ან განადგურებულია, „შემსყიდველი“ ვალდებულია „მიმწოდებელს“ აუნაზღაუროს „მოწყობილობების“ ღირებულება შემდეგი ტარიფებით: რესივერის კომპლექტი – 70 (სამოცდაათი) ლარი, დაშვების ბარათი – 10 (ათი) ლარი.

4.7. იმ შემთხვევაში, როდესაც „მოწყობილობა“ ნაწილობრივ დაზიანებულია, „შემსყიდველი“ ვალდებულია „მიმწოდებელს“ აუნაზღაუროს „მოწყობილობის“ ღირებულება დაზიანებული ნაწილის ბაზარზე არსებული ტარიფების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 4.6. პუნქტით გათვალისწინებული ღირებულებისა.

4.8. „შემსყიდველი“ არ ანაზღაურებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვეთის შედეგად მიყენებულ ზარალს/ზიანს.

4.9. „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებულ სამუშაოზე და გაწეულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და უზუსტობის აღმოფხვრას, რომლებიც წარმოიშვა „მიმწოდებლის“ მიზეზით, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

4.10. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ხელშეკრულების ფარგლებში „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველისთვის“ უკვე გადაცემული „ტექნიკური მოწყობილობების“, - სამონტაჟო და საინსტალაციო სამუშაოების მიმართ ძალას ინარჩუნებს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.3. მუხლით განსაზღვრული დამატებითი „მოწყობილობების“ ინსტალაციისა და მონტაჟისთანავე მხარეთა შორის ფორმდება „მიღება–ჩაბარების“ აქტი, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

5.2. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების თაობაზე თვის ბოლო სამუშაო დღეს ფორმდება „მიღება–ჩაბარების“ აქტი, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

5.3. დეკემბრის თვის საფინანსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 2021 წლის 25 დეკემბრისა.

6. გარანტია

6.1. „მოწყობილობებზე“ ვრცელდება 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღიანი საგარანტიო მომსახურების ვადა. ამ ვადის განმავლობაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია უსასყიდლოდ გამოცვალოს სრულად და/ან ნაწილობრივ დაზიანებული „მოწყობილობა“ ახლით.

6.2. საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ „მოწყობილობების“ სრული დაზიანების, განადგურების შემთხვევაში, მათი გამოცვლა ხდება ხელშეკრულების 4.6. მუხლში მითითებული ტარიფების შესაბამისად „შემსყიდველის“ ხარჯებით. თუ აპარატურა დაზიანდა და დადასტურდება, რომ „შემსყიდველი“ გამოყენებისას იცავდა ექსპლუატაციის პირობებს, ამ შემთხვევაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეაკეთოს თავისი ხარჯით აღნიშნული აპარატურა შეტყობინების (წერილობითი ან სატელეფონო) მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აპარატურა არ ექვემდებარება აღდგენას იგი უნდა შეიცვალოს ახლით, შეტყობინების (წერილობითი ან სატელეფონო) მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

6.3. საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ „მოწყობილობების“ ნაწილობრივ დაზიანების შემთხვევაში, მათი გამოცვლა ხდება ხელშეკრულების 4.5. მუხლში მითითებული პირობების შესაბამისად „შემსყიდველის“ ხარჯებით. თუ აპარატურა დაზიანდა და დადასტურდება, რომ „შემსყიდველი“ გამოყენებისას იცავდა ექსპლუატაციის პირობებს, ამ შემთხვევაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეაკეთოს თავისი ხარჯით აღნიშნული აპარატურა შეტყობინების (წერილობითი ან სატელეფონო) მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

6.4. „მოწყობილობის“ შეფუთვის, კომპლექტაციის დაცულობა და მისი გამართულად მუშაობის შემოწმება ხორციელდება ადგილზე, უშუალოდ „შემსყიდველთან“. „მოწყობილობის“ ან მისი კომპლექტაციის შემადგენელი ნაწილის შეკეთება ხორციელდება გარანტიით გათვალისწინებულ პერიოდში, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თუ შემოწმებისას დგინდება, რომ მისი გაუმართაობა გამოწვეულია ტექნიკური დეფექტის (ქარხნული წუნის) გამო. გარანტია არ ითვალისწინებს პრეტენზიებს „მოწყობილობის“ ტექნიკურ პარამეტრებზე, რომელიც შეესაბამება მომსახურების მიწოდებისთვის საჭირო პირობებს. გარანტია არ ვრცელდება მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების დარღვევისას დამდგარ შედეგებზე, მექანიკური დაზიანების დროს დამდგარ გარე ან შიდა დაზიანებებზე, იმ შემადგენელ ნაწილებზე, რომელზეც აღინიშნება მექანიკური ზემოქმედების ნიშნები და „მოწყობილობის“ კომპლექტაციის დარღვევის ყველა შემთხვევაზე (პროგრამული უზრუნველყოფა, შემაერთებელი კაბელი, სამაგრები და ქარხნული იერსახისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშნებზე ზემოქმედება და სხვა).

6.5. „მოწყობილობის“ ან მისი კომპლექტაციის შემადგენელი ნაწილის შეცვლა ხორციელდება მხოლოდ ქვითრის, ყუთის, დოკუმენტაციის და იმ ყველა აქსესუარის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც დაფიქსირდა მისი გადაცემის მომენტში.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

7.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების“ აქტი და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება საანგარიშო თვის დამთავრებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო დეკემბრის თვის ანგარიშსწორება - არა უგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა.

7.4. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და „მიღება-ჩაბარების“ აქტის წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის ანაზღაურება.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.1.1. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ ხარისხიანი მომსახურების მიწოდება, ხოლო „შემსყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაუმონტაჟოს „შემსყიდველს“ დამატებითი „მოწყობილობები“.

8.1.2. „შემსყიდველის“ შეტყობინების საფუძველზე, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში (არა უგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა) აღმოფხვრას მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული დაზიანება, გარდა იმისა, რაც გამოწვეულია „მოწყობილობების“ დაზიანებით.

8.1.3. „შემსყიდველის“ შეტყობინების საფუძველზე, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში (არა უგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა) აღმოფხვრას მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული დაზიანება, რაც გამოწვეულია „მოწყობილობების“ დაზიანებით.

8.1.4. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მოემსახუროს „შემსყიდველს“ ცხელი ხაზის მეშვეობით.

8.1.5. ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას ხელშეკრულების ყველა პირობა.

8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.2.1 აწარმოოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

8.2.2 შეატყობინოს „მიმწოდებელს“ მომსახურების მიწოდებაში რაიმე შეფერხების შემთხვევა და შეძლებისდაგვარად შეუწყოს ხელი „მიმწოდებლის“ თანამშრომლებს წარმოქმნილი ხარვეზის გამოსწორებაში.

8.2.3 აანაზღაუროს ყველა ის ხარჯი, რომელიც საკუთარი ქმედებით მიადგა „მიმწოდებლის“ კუთვნილ „მოწყობილობებს“.

8.2.4 არ განახორციელოს „მოწყობილობების“ თვითნებური გადაადგილება, მონტაჟი ან დემონტაჟი.

8.2.5 არ განახორციელოს მომსახურების მიყიდვა ან რაიმე ფორმით გადაცემა ან მიწოდება მესამე პირებისათვის.

8.2.6. ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას ხელშეკრულების ყველა პირობა.

9. მხარეთა უფლებები

9.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

9.1.1. შეუზღუდოს „შემსყიდველს” მომსახურების გაწევა, როდესაც:

9.1.1.1. „შემსყიდველი“ სრულად და დროულად არ იხდის დავალიანებას.

9.1.1.2. არსებობს ტექნიკური დაზიანება (არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადით).

9.1.1.3. პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებისას დროებით შეაჩეროს ან შეუზღუდოს „შემსყიდველს“ მომსახურების მიწოდება (არაუმეტეს 1 დღე თვის განმავლობაში).

9.1.2. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.1.3. სამაუწყებლო ან უფლება მფლობელი სხვა კომპანიის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე, სატელევიზიო არხის ან მისი შემადგენელი ცალკეული გადაცემ(ებ)ის ჩვენების უფლების დაკარგვის შემთხვევაში, ჩაანაცვლოს იგი სხვა არხით ან გადაცემით.

9.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

9.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9.2.2. არ აანაზღაუროს მომსახურების საფასური პროფილაქტიკური სამუშაოების პერიოდის განმავლობაში და/ან ტექნიკური ზიანის გამო მომსახურების შეჩერების პერიოდში.

10.ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

10.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

10.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

10.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

10.2.3. ეპიდემიები;

10.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

10.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

10.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

10.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

10.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

10.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

10.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

11.ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა მიერ წერილობითი ფორმით.

11.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან საქართველოს სასამართლოს საერთო სასამართლოს სისტემას.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება – შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13.2. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი კალენდარული დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.3.იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან

ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული (კალენდარული) დღისათვის.

14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ ,,მიმწოდებელი" გადააცილებს/შეაჩერებს/შეზღუდავს (საპატიო მიზეზის გარეშე) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონტაჟი/მომსახურების გაწევის ვადას 10 (ათი) კალენდარული დღით, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით ანაზღაურება.

14.4. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გარდა, თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15.2. ხელშეკრულების 15.1. მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით.

15.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

15.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.4.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.

15.4.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ინსპექტირების პირობები

16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი დავით ვარდიაშვილი.

16.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

16.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

16.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების" აქტების გაფორმება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18. სხვა პირობები

18.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

18.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

18.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

18.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

18.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

18.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

18.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

18.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

18.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

18.10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

„შემსყიდველი"

სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი N144
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927

____

ლევან გოგოძე
სააგენტოს დირექტორის მოადგილე

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Digitally signed by LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Date: 2021.01.28 13:23:19 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს „ტვ სარფი“
ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა
ს.ს. „ტერა ბანკი“
კოდი TEBAGE22 ს/კ N445459423
ანგარიშის GE15KS0000000360205876

____

თამარა ჩიგოგიძე
დირექტორი

LTD TV Sarpi
Digitally signed by LTD TV Sarpi
Date: 2021.01.28 13:37:49 +04'00'

ვიზირებულია: გ. გელაშვილი

ტ. იშხნელი

ა. ვასაძე

ზ. რევაზიშვილი

დასახელება	წერტილების რაოდენობა	ინსტალაცია	ერთი დღის მომსახურების სააბონენტოს ღირებულება	ერთი დღის 11 წერტილის სააბონენტოს ღირებულება	მომსახურების გაწევის ვადა (დღეების რაოდენობა)	საერთო ღირებულება	მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი
ციფრული ტელევიზიის სააბონენტო	11	----------	0.60	6.60	334	2 204.40	2021 1 თებერვლიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი აკ. წერეთლის გამზირი №144 ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის N51
ჯამი:						2204.40 ლარი	დღგ-ს ჩათვლით

ლევან გოგოძე

სააგენტოს დირექტორის მოადგილე

ზამირა ჩიგოგიძე

დირექტორი

არხების ჩამონათვალი

ქართული არხები	
1	საზოგადოებრივი მაუწყებელი
2	განათლება
3	ტვ პირველი
4	Music Box
5	პალიტრა ნიუსი
6	მაესტრო
7	კავკასია
8	აგრო ტვ
9	ობიექტივი
10	ფორმულა
11	მთავარი არხი
12	აჭარა
13	პულსი
14	ერთსულოვნება
15	Post TV
16	არტარეა
17	Silk უნივერსალი
18	რაგბი ტვ
19	სტარვიზია
20	ქართული არხი
21	Food TV Geo
22	Royal Channel
23	კომედი არხი
24	ბასტი ბუბუ
25	ენკი-ბენკი
საინფორმაციო და ზოგადი თემატიკა	
26	Euronews
27	BBC
28	CNN
29	DW
30	France 24
31	Настоящее Время
32	Дождь
33	Russia Today
34	ОРТ
35	РТР Планета
36	НТВ
37	REN TV
38	ТВ Центр
39	ТВ 3
40	UATV
41	C1
42	Ictimai TV
43	Euronews Georgia

სპორტული თემატიკა	
44	SETANTA SPORTS EURASIA
45	SETANTA SPORTS EURASIA plus
46	Eurosport
47	Eurosport 2
48	BOKC
49	Авто 24
50	SPORT TV Futbol 1
კინო არხები	
51	TV 1000
52	TV 1000 Action
53	TV 1000 Русское Кино
54	A1
55	Sony Sci-Fi
56	Sony Entertaiment
57	Sony turbo
58	CINEMA
59	Еврокино
60	TV XXI
61	Иллюзион+
62	Русский Иллюзион
63	Феникс плюс кино
64	НСТ
65	Zee TV
ჰობი და გასართობი თემატიკა	
66	THT Comedy
67	THT 4
68	CTC
69	Пятница
70	Перец
71	T L C
72	CBS Reality
73	Усадьба ТВ
74	Кухня ТВ
75	Домашний
76	Охота Рыбалка
77	Оружие
78	Food Network
79	Fine Living
80	Fashion one
81	Драйв
82	Ретро
83	ЦТВ
საბავშვო თემატიკის არხები	
84	Cartoon Network
85	Jim Jam
86	Boomerang

87	Da Vinci Learning
88	Уникум
89	Доктор
90	Мульт
91	24 TEXNO
მუსიკალური თემატიკის არხები	
92	Ля Минор
93	Bridge TV
94	Mezzo
95	Муз ТВ
96	RU TV
შემეცნებითი თემატიკის არხები	
97	Россия Культура
98	Discovery Channel
99	Discovery Scince
100	DTX
101	Viasat Explorer
102	Viasat History
103	Viasat Nature
104	Animal Planet
105	Психология 21
106	Здоровое ТВ

2021 წ.

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჭიროებისთვის ციფრული საკაბელო ტელევიზიის მომსახურების, აგრეთვე, ახალი აბონენტის ქსელში ჩართვის მომსახურების - ციფრული საკაბელო ტელევიზიის მონტაჟი/ინსტალირების გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებულ N27010401/12 ხელშეკრულებაში (შპს „ტვ სარფი") არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღნიშნულს ვადასტურებთ ხელისმოწერით:

დირექტორის მოადგილე

ლევან გოგოძე _____

გიორგი გელაშვილი _____

ავთანდილ ვასაძე _____

ტარიელ იშხნელი _____

ზურაბ რევაზიშვილი _____